ქ. თბილისში, გ. ჩიტაიას ქ. №14-ში არსებული ტრიტორიისა და მოცემული უბნის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა



ხელოვნებათმცოდნე: ქ. დარჩია

თბილისი

2016

ჩვენი საკვლევი ობიექტი მოიცავას გიორგი ჩიტაიას ქ. №14-ის მისამართზე რიცხულ, 270 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, რომელზეც რამდენიმებინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაა გათვალისწინებული. საპროექტო ტერიტორია განაშენიანების სიღრმეშია მოქცეული, რადგან ქუჩის ხაზზე მდგარი, ხუთსართულიანი თანამედროვე კორპუსის უკან განთავსდება (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ). აღსანიშნავია, რომ სწორედ გ. ჩიტაიას ქუჩაზე გადის ქ. თბილისის განაშენიანების რეგულირების ზონის საზღვარი, ჩვენი საკვლევი ტერიტორია კი ზონის საზღვრებში ექცევა

მოცემული მიწის ნაკვეთი ქ. თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ უბანში, ე.წ. ახალ კუკიაზე განთავსდება. ამდენად ჩვენს კვლევას საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის მნიშვნელობის გარკვევით დავიწყებთ, რისთვისაც უკანასკნელი საუკუნების მანძილზე თბილისის, უფრო ზუსტად კი ხსენებული უბნის განვითარების მოკლე ისტორიულ ექსკურსს შევთავაზებთ მკითხველს.

გვიან შუა საუკუნეებში (XVII-XVIII სს.) მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, თბილისის უძველეს უბნებს – ავლაბარსა და სოფ. დიდუბეს შორის ორი ახალი სოფელი გაჩნდა: ჩუღურეთი და ახალსოფელი (მოგვიანებით კუკიად წოდებული). ახალსოფელი ჩუღურეთის შემდეგ ესაზღვრებოდა თბილისს. წერილობით წყაროებში იგი პირველად ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ მოცემულ სოფელთა ნუსხაში გვხვდება. 1735 წლის ვახუშტის გეგმაზე ახალსოფელი უკვე დატანილია (სურ. 1), თუმცა დასახლების აღმნიშვნელი უჯრების მიხედვით, იგი მჭიდროდ არ უნდა იყოს დასახლებული. აქ ერთადერთი გზაა მონიშნული „ავჭალის გზის“ სახელწოდებით. თ. ბერიძის მიხედვით, მოგვიანო ხანის საბუთებსა და ქალაქის გეგმებზე იგი „დიდი ავჭალის“ გზის სახელით გვხვდება, დღესდღეობით კი მოცემული ქუჩა გიორგი ჩიტაიას სახელს ატარებს (საბჭოთა პერიოდში საბჭოს ქუჩა).



სურ. 1. 1735 წლის თბილისის გეგმა

შემდეგი გეგმა, რომელზედაც ახალსოფელი უკვე კუკიის სახელწოდებითაა დატანილი, გიულდენშტედტის მიერ შესრულებული, 1772 წლის რუკაა. მისი მიხედვით, მოცემული ტერიტორია ამ დროს მიტოვებულია, რადგან აქ მხოლოდ გაპარტახებული ციხესიმაგრეა მითითებული. აღსანიშნავია, რომ იმხანად კუკია სადედოფლო მამული იყო და ეკუთვნოდა დარეჯან დედოფალს, რომელიც, როგორც ჩანს, ცდილობდა ადგილმამული კარგად დასახლებული და სათანადოდ განვითარებული ჰქონოდა. სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ხელოსნობის ხელშეწყობის მიზნით, 1770-იანი წლების ბოლოს დედოფალმა აქ ქვემო ქართლში მდებარე სადედოფლო სოფელ წინწყაროდან 30 კომლი გადმოასახლა და 18 კომლიც (სომხის

ოჯახი) სოფ. განჯიდან. ამგვარად, 1781 წლის აღწერის მიხედვით, კუკია უკვე საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული. XIX საუკუნის დასაწყისში დაიცალა სოფ. დიდუბე და მოსახლეობის მეტი წილი კუკიაზე გადმოვიდა საცხოვრებლად. კუკიელთა სარგებლობაში გადმოვიდა დიდუბის ძველი სავარგულებიც, კერძოდ ახლანდელი ვაგზლის სამხრეთით მდებარე ტერიტორია.



სურ. 2. 1800 წლის თბილისის გეგმა

1800 წელს შედგენილი თბილისის გეგმის მიხედვით კუკია უკვე მდ. მტკვრის აღმა, ჩრდილოეთითაა გაზრდილი. ავჭალის გზა კი მისგან მოშორებით, აღმოსავლეთითაა მოქცეული. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კუკიისკენ და ჩუღურეთისკენ მოემართება სოფელ გლდანიდან წამოსული გზა. ქალაქიდან ჩრდილოეთით, მცხეთისკენ მიემართება ავჭალის "ზემო გზა", რომელსაც დასავლეთიდან ერთვის ავჭალის "ქვემო გზა". ამასთან, სოფელი კუკია ბუნებრივ საზღვრებშიცაა მოქცეული: სამხრეთიდან მას ესაზღვრებოდა კვირაცხოვლის ხევი (დიდხევი), დასავლეთიდან – მდ. მტკვარი,

აღმოსავლეთიდან – ხელოვნურად მოწყობილი მიწაყრილიანი თხრილი, ჩრდილოეთიდან კი უსახელო ხევი. თ. ბერიძის ვარაუდით, ეს უკანსკნელი (უსახელო ხევი) ამჟამინდელი კ. მარჯანიშვილის ქუჩის ჩრდილოეთით უნდა მდებარეობდეს.[1]



სურ. 3. 1802 წლის თბილისის გეგმა

1813 წლის საქართველოს გენერალურ რუკაზე კუკია სახაზინო სოფლადაა აღნიშნული. 1823 წლის აღწერით ირკვევა, რომ კუკიაზე სახლობს 183 კომლი (მათგან 145 – სახაზინო). მოსახლეობა ფრიად მრავალფეროვანია, მისდევენ როგორც ხელოსნობას, ისე მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას; აქვე ცხოვრობენ თავად-აზნაურთა ყმა-გლეხებიც.

1824 წელს სოფ. კუკია ჩუღურეთთან ერთად ქალაქს მიაკუთვნეს, მაგრამ ეთხანს ისინი მაინც სოფლად იწოდება და სახელმწიფოს მხრიდან

[1] თ. ბერიძე, "...და აღმოცენდა თბილისი", ნაკადული, თბ., 1977, გვ.: 183

ყურადღებაც ნაკლებად ექცევა. თუმცა თბილისთან მიერთების შემდეგ კუკია მაინც გაცილებით უფრო სწრაფად იწყებს ზრდას.

1825 წელს შედგენილი კუკიისა და ჩუღურეთის გეგმის მიხედვით ირკვევა, რომ სოფლებს რეგულარული გეგმარება არ გააჩნდა; საცხოვრებელი სახლები უსისტემოდ იყო მიმოფანტული. 1827 წელს ქალაქის მომწყობი კომისიის დადგენილებით, კუკიას საგანგებო ყურადღება უნდა მიქცეოდა და მშენებლობას გეგმაზომიერი ხასიათი უნდა მისცემოდა. მაგრამ XIX საუკუნის შუა წლებამდე კუკიაზე განსაკუთრებული ქალაქმშენებლობითი ღონის-ძიებებისთვის არ მიუმართავთ. კეთილმოწყობის სამუშაოები მხოლოდ 1840-იან წლებში ჩატარდა, რამაც ხელი შეუწყო მის სწრაფ განვითარებასა და ურბანიზაციას. ამ მხრივ, გადამწყვეტი აღმოჩნდა 1847 წლის მეფისნაცვლის, გრაფ მიხეილ ვორონცოვის საგანგებო მითითება კუკიის ინტენსიური დასახლების თაობაზე. ამ დროს მთელ საქართველოში იწყება რუსული მოსახლეობის ინტენსიური შემოსვლა (მათ შორის მალაკნების გადმოსახლება). კუკიის მეზობელი უბნებიდან (ძირითადად ჩუღურეთიდან და ავლაბრიდან) შემოსული მოსახლეობისა და რუსი კოლონისტების მიერ ხდება კუკიის დაუსახლებელი და თავისუფალი მიწების ათვისება. მალე კუკიის ტერიტორია იმდენად გაიზარდა, რომ "ავჭალის დიდი გზის" გადაღმა გაჩნდა "ახალი კუკიის" დასახლება. მოგვიანებით მის სახელწოდებას სიტყვა „ახალი" ჩამოსცილდა; ქალაქის თანამედროვე ურბანონიმიაში სწორედ ეს უბანი შემორჩა კუკიის სახელწოდებით. "ახალი კუკია" სწრაფად იზრდებოდა და მალე მიაღწია დღევანდელი ვაგზლის მოედნამდე.

მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ცენტრალური უბნების ფორმირებაში, მათ შორის კუკიისა და ახალი კუკიის ურბანულ განვითარებაში, დიდი როლი ითამაშა გერმანული კოლონიის არსებობამ. გერმანელების ჩამოსახლება საქართველოში 1817 წელს დაიწყო და მთელი XIX საუკუნის მანძილზე გაგრძელდა. XIX საუკუნის 10-იან წლებში (1817-1919 წწ. და შემდეგაც) გერმანელმა კოლონისტებმა საქართველოში რამდენიმე დასახლება დაარსეს. 1818 წელს თბილისში დაარსდა ორი გერმანული დასახლება: ალექსანდერსდორფი დიდუბეში და ახალი თბილისის კოლონია – კუკიაზე, რომელსაც თბილისელები „ნემცების სოფელს" ეძახდნენ.



სურ. 4. 1867 წლის თბილისის გეგმა. ფრაგმენტი

1850 წლის გეგმაზე კუკიის ერთიან ტერიტორიას უკვე ქალაქური იერი აქვს; ჩნდება უფრო მოწესრიგებული, ახალი ქუჩები. შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულისთვის ძველი და ახალი კუკია უკვე დაგეგმილია. ამ დროს ჩამოყალიბდა ქუჩათა ქსელი, რომელიც დღემდე შემოინახა; უკვე არსებობს ქუჩები, რომელთაც პირვანდელი სახე აქვთ შენარჩუნებული, მაგ.: მიხეილის ქუჩა (ამჟამინდელი დ. აღმაშენებლის გამზირი), ელისაბედის (ამჟ. მ. წინამძვრიშვილის) ქუჩა, გერმანელთა (ამჟ. კიევის) ქუჩა, რეუტის (ამჟ. გ. მაზნიაშვილის) ქუჩა, კოჩუბეის (სუნდუკიანის) ქუჩა, სემიონოვის (ამჟ. ვარციხის) ქუჩა. "ახალი კუკია" კი უკვე მოიცავდა ახლანდელი გ. ჩიტაიას, გ. ჩუბინაშვილის, ე. ნინოშვილის და ივ. ჯავახიშვილის ქუჩებს.



სურ. 5. 1898 წლის თბილისის გეგმა. ფრაგმენტი

ნიშანდობლივია, რომ XIX საუკუნის 50-იან წლებში კუკიაზე ჩნდებიან მალაკნები. რუსეთის თითქმის ყველა გუბერნიიდან სექტანტ მალაკნების მასიური, იძულებითი ჩამოსახლება თბილისში (ისევე როგორც სხვა, არარუსულ გუბერნიებში) 1830-იანი წლებიდან იწყება. პირველად ისინი 1835 წელს რიყეზე დასახლდნენ, 1847-49 წლებში კი ოფიციალურად დაისვა მათი ახალ კუკიაში გადასახლების საკითხი. ამგვარად, 1850-იანი წლებიდან ახალი კუკიის ტერიტორიაზე იქმნება მალაკნების დასახლება (ე.წ. მალაკნების უბანი). იგი ძირითადად რკინიგზის გაღმა იყო განლაგებული, მაგრამ მისი ნაწილი რკინიგზის გადმოღმაც ვრცელდებოდა და მოიცავდა ახლანდელი ნ. ფიროსმანის (იმხანად მალაკნების), ნ. გოგოლის, გოგი დოლიძისა და გ. ჩიტაიას ქუჩების ნაწილს. 1855 წელს მალაკნების თხოვნითა და მეფისნაცვლის განკარგულებით, მათ გადაეცათ მიწის ნაკვეთი სასაფლაოსთვის, 1862 წელს კი მალაკნების საზოგადოებამ გ. ჩიტაიასა და ნ.

ფიროსმანის ქუჩების კუთხეში დააარსა საკუთარი ბაზარი, რომელმაც 1960-იან წლებამდე იარსება (ახლა მის ადგილას უსახური ოთხსართულიანი შენობა დგას, გ. ჩიტაიას ქ. №37). ბაზარზე მალაკნები ძირითადად თევზით, ბოსტნეულით, მარილითა და რძის პროდუქტებით ვაჭრობდნენ. XX საუკუნის დასაწყისიდან სადგურის მიმდებარე ტერიტორია და, კერძოდ, მალაკნების (ახლანდელი ნ. ფიროსმანის) ქუჩა ცნობილი იყო მრავალრიცხოვანი პატარ-პატარა დუქნებითა და მარნებით. უნდა ითქვას, რომ "მალაკნების მოედანი", როგორც მიკროტოპონიმი დღემდეა შემორჩენილი.



სურ. 6

ჩვენთვის საინტერესო საკვლევი ტერიტორია სწორედ მალაკნების უბანში, „მალაკნების მოედნის" სიახლოვეს განთავსდება, გ. ჩიტაიას ქ. №14-ში არსებული შენობის უკან. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ მისამართზე ორი ნაგებობაა აღრიცხული, მათგან ერთ-ერთი წარმოადგენს XX საუკუნის დასაწყისისათვის საკმაოდ ტიპურ, აგურით ნაგებ, შეულესავი ფასადის მქონე ორსართულიან საცხოვრებელ სახლს (სურ. 6), მეორე კი ახლადაშენებულ, თანამედროვე, უსახურ, ხუთსართულიან კორპუსს, რომელიც ქუჩის

პარალელურად გაწელილი, განიერი, თითქოს “ბლაგვი” ფასადითა და უბნის ისტორიული განაშენიანებისთვის შეუსაბამოდ დიდი მოცულობით იქცევს ყურადღებას (სურ. 6). სწორედ მოცემული შენობის უკან განთავსდება საპროექტო ტერიტორია, სადაც მნახველი ხსენებულ კორპუსსა და გ. ჩიტაიას ქ. №16-ში მდებარე შენობას შორის არსებული ვიწრო გასასვლელით ხვდება (სურ. 7, 8). სამშენებლოდ გამზადებული თავისუფალი ტერიტორიისგან მას (გასასვლელს) ამჟამად რკინის ყრუ ალაყაფის კარი მიჯნავს.



სურ. 7



სურ. 8

270 კვ.მ. ფართობის მქონე საპროექტო ტერიტორიას ერთი მხრიდან ზემოთ უკვე ნახსენები ხუთსართულიანი კორპუსი ემიჯნება, მეორე მხარეს – სრულიად არამიმზიდველი არქიტექტურული იერის მქონე, დაუდგენლი სტილისტიკის, შეიძლება ითქვას, ასტილისტიკური სამსართულიანი კერძო სახლები (ორთაგან ერთ-ერთი 1990-იან წლებშია აგებული, მეორე, ახლადაშენებული, ითვალისწინებს რა ტერიტორიის განაშენიანების სამომავლო პერსპექტივას, სრულიად ყრუ კედლით გამოდის სამშენებლო მოედნისკენ (სურ. 9)); მოპირდაპირე მხარეს მოცემულ ტერიტორიას მთელს სიგრძეზე ესაზღვრება გ. ჩიტაის ქუჩის ძველი განაშენიანება, რომელიც მეტწილად აგურის დაბალი მესერის კედელს მობჯენილი ორსართულიანი სახლებისაგან და გვიანდელი მინაშენებისაგან შედგება (სურ. 10). შიშვლად

დატოვებული თუ შელესილი აგურის ყრუ კედლებში გვიანგაჭრილი სარკმლებია დატანილი. ნაგებობათა ამგვარი ორიენტაცია და მესერის არსებობა, გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ საკვლევ საპროექტო ტერიტორიაზე ძველად ნაგებობები უნდა მდგარიყო.



სურ. 9

არსებული მიკროუბნის XIX საუკუნის მიწურულის განაშენიანების საერთო ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ მცირე მასშტაბის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები იქნებოდა, რომელთა დემონტაჟი, ალბათ, ჯერ კიდევ ადრეულ საბჭოთა პერიოდში მოხდა, რადგან მაცხოვრებელთა ხსოვნას მიწის მოცემულ ნაკვეთზე ნაგებობები არ შემორჩენია. თუმცა, მსჯელობა ვარაუდს ვერ გასცდება, რადგან, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია რაიმე სახის უტყუარი დოკუმენტი (ძველი ფოტო, პროექტი ან შესაბამისი ცნობა).[2] 2005 წლის აერო ფოტოზე (სურ. 11, 12) მოცემულ მიწის ნაკვეთი მცენარეულობითაა დაფარული, შენობათაგან მასზე

[2] საქართველოს ეროვნულ არქივში არ აღმოჩნდა არცერთი მსგავსი ტიპის დოკუმენტი.

მხოლოდ 1990-იანი წლების ნაგებობა ჩანს, ახლადაშენებული სახლის მაგიერ კი ზომით ბევრად მცირე, სავარაუდოდ, ერთსართულიანი მოცულობა იკითხება.



სურ. 10

აქვე უნდა ითქვას, რომ აგურითნაშენი მესრის უკან არსებული ძველი (XIX–XX საუკუნეების მიჯნა) ნაგებობები უბნისთვის ფონური მნიშვნელობის მქონეა, თუმცა საპროექტო ტერიტორიის მხარეს "იყურება" ასევე გ. ჩიტაიას ქ. №16-ში განთავსებული, XIX საუკუნის დასასრულის საცხოვრებელი სახლის ეზოსპირა ფასადი, რომელიც ამჟამად, მართალია, გადაკეთებული, სახეცვლილი და დამახინჯებულია, მაგრამ უფრო ავთენტურად შემორჩენილი ნეოკლასიცისტურ-ეკლექტიკური სტილის მთავარი ფასადის გამო (სურ. 7) მას 2015 წელს ჩატარებული ქ. თბილისის რეინვენტარიზაციის შედეგად ექსპერტთა მიერ მიეცა რეკომენდაცია ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე.[3]

[3] ქალაქის ისტორიული ნაწილის რეინვენტარიზაცია ჩატარდაკომპანია "გეოგრაფიკის" მიერ განხორციელებული პროექტის "ქ. თბილისის ურბანული განვითარების კონცეფცია" ფარგლებში (დამკვეთი:"თბილისის განვითარების ფონდი").



სურ. 11. აერო ფოტოსურათი. 2005 წელი

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია საოჯახო სასტუმროს ჩადგმა. მიუხედავად გარკვეული თვალსაზრისით მომგებიანი მდებარეობისა, ვგულისხმობთ გ. ჩიტაიას ქუჩაზე მდგარ ხუთსართულიან კორპუსს, რომელიც, პრაქტიკულად, სრულად ფარავს აღნიშნულ ტერიტორიას, პროექტის დამუშავებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოცემული უბნის ისტორიული განაშენიანების საერთო მასშტაბი, ხასიათი და მხატვრულ-არქიტექტურული თავისებურებანი. ახლადგაჩენილი მოცულობა უთუოდ გამოჩნდება ხედვის შორი წერტილებიდან, ამდენად, იგი არ უნდა გამოირჩეოდეს დიდი ზომით. სასურველია, შენობის ერთიანი მოცულობა არ იყოს ზედმეტად დანაწევრებული, რათა ნაკლებად აგრესიულად და აქტიურად აღიქმებოდეს თუნდაც შორი ხედიდან. ამასთან, ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ ნაგებობის სივრცით-არქიტექტურული კომპოზიცია მიახლოებით მაინც გაიმეორებს ე.წ. თბილისური საცხოვრებელი სახლის გეგმარებას, რაც გაცილებით უფრო ბუნებრივად და ორგანულად ჩასვამს მას მოცემულ ურბანულ გარემოსა თუ ისტორიულ კონტექსტში.



სურ. 12. აერო ფოტოსურათი. 2005 წელი